ებრაულ–არამეული ფილოლოგია (Hebrew-Aramaic Philology)

MA

სავალდებულო კურსები

(Compulsorily courses)

1. *ებრაული და არამეული ენების ისტორიული გრამატიკა*
   Historical Grammar of the Hebrew and Aramaic languages

კურსი შეისწავლის ებრაული და არამეული ენების ზოგადი სტრუქტურის ძირითად თავისებურებებს ფონოლოგიურ, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეზე. კურსის მიზანია, წარმოაჩინოს ებრაული და არამეული ენების ევოლუცია დროსა და სივრცეში, მათი მსგავსება-განსხვავებები და ურთიერთმიმართებანი სხვა სემიტურ ენებთან.

2. *ბიბლიის ხუთი გრაგნილი (ქებათა ქება, რუთი, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ესთერი) 1*
   Five scrolls of the Bible (Song of Songs, Ruth, Jeremiah's Lamentation, Ecclesiastes, Esther) 1

კურსში წარმოდგენილია ძველი აღთქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - ე.წ. ხუთი გრაგნილის ცალკეული წიგნების, კერძოდ, ქებათა ქების, რუთისა და იერემიას გოდების იდეურ-მხატვრული ანალიზი; აღნიშნული წიგნები განიხილება ისტორიოგრაფიული, ფილოსოფიური, ლიტერატურული, კულტუროლოგიური, თეოლოგიური და სხვ. ასპექტებით.

3. *ბიბლიის ხუთი გრაგნილი (ქებათა ქება, რუთი, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ესთერი) 2*
   Five scrolls of the Bible (Song of Songs, Ruth, Jeremiah's Lamentation, Ecclesiastes, Esther) 2

კურსში წარმოდგენილია ძველი აღთქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - ე.წ. ხუთი გრაგნილის ცალკეული წიგნების, კერძოდ, ეკლესიასტესა და ესთერის იდეურ-მხატვრული ანალიზი; მოყვანილი იქნება ტექსტოლოგიური კვლევის ნიმუშები, გასული საუკუნეებისა და თანამედროვე მკვლევარების კომენტარები.

4. *შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრები სირიაში. ედესისა და ნისიბინის აკადემიები 1*
   Medieval educational and literary centres in Syria. Edessa and Nisibin Academies 1

ლექციების კურსში განხილული იქნება ის უდიდესი გავლენა, რომელიც იქონია ნისიბინისა და ედესის აკადემიებიდან გამოსულმა ნესტორიანმა და იაკობიტმა

მწიგნობრებმა და მათმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ აღმოსავლეთის იდეოლოგიაზე.

5. *შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრები სირიაში. ედესისა და ნისიბინის აკადემიები 2*
   Medieval educational and literary centres in Syria. Edessa and Nisibin Academies 2

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან სირიულ ენაზე შექმნილ საეკლესიო, ფილოსოფიურ და სხვა სახის ლიტერატურას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზიის მრავალი ხალხის, მათ შორის ქართველთა, სწავლა-განათლებისა და საგანმანათლებლო ცენტრების შექმნის საქმეში.

6. *სირიული პოეტიკა*
   Syriac versification

ლექციათა კურსი სირიულ პოეტიკაში ვარაუდობს კლასიკური სირიული ლექსთწყობის სისტემასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა სირიული მახვილის თეორია, ინტონაცია, მარცვლების წარმოქმნა, დამარცვლა და ამ მოვლენების ნაწილობრივი წერილობითი ფიქსაცია, რომელთაც ასახვა ჰპოვეს დიაკრიტიკულ და პუნქტუაციურ ნიშნებში.

7. *ბიბლიის ებრაულის მორფოსინტაქსი 1*
   Morpho-Syntax of Biblical Hebrew 1

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტს გაუღრმავოს ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნა ძველი ებრაული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხებში, კერძოდ, განხილული იქნება პირდაპირი და არაპირდაპირი ნებელობითი კილო, ინვერსიული დროები და სხვ. შედეგად, მაგისტრანტი უკეთ შეძლებს გარკვევას ბიბლიის ებრაულის სინტაქსურ კონსტრუქციებში.

8. *ბიბლიის ებრაულის მორფოსინტაქსი 2*
   Morpho-Syntax of Biblical Hebrew 2

კურსის ფარგლებში მაგისტრანტი გაიღრმავებს ცოდნას ებრაული ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში, კერძოდ, განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა ოპტატიური, ასევერაციული, შედარებითი და შეპირისპირებითი წინადადებები და სხვ. შედეგად სტუდენტი უკეთ შეძლებს გარკვევას ბიბლიის

ებრაულის სინტაქსურ კონსტრუქციებში, რაც აუცილებელი პირობაა ტექსტის სწორად წაკითხვისათვის.

9. თანამედროვე ებრაული ენის სინტაქსი 1
Syntax of the modern Habrew language 1

კურსის ამოცანაა მაგისტრანტს გაუღრმავოს ცოდნა თანამედროვე ებრაული ენის სინტაქსის სფეროში. განხილული იქნება მთელი როგო საკითხებისა, როგორიცაა: ებრაული საზღვრულ-მსაზღვრელი (სმიხუთი), ზედსართავი, ზმნისართი, წინდებული, მიმღეობა, კოპულა, წინდებულები, ვითარების ზმნიზედა, დამოკიდებული წინადადებების ტიპები და სხვ.

10. თანამედროვე ებრაული ენის სინტაქსი 2
Syntax of the modern Habrew language 2

კურსი ითვალისწინებს სტუდენტს გაურმავოს ცოდნა თანამედროვე ებრაული ენის სინტაქსის მთელ რიგ საკითხებში. ძირითადი აქცენტი გაკეთდება წინადადების ტიპებზე. კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს არ უნდა გაუჭირდეს ებრაულ წინადადებაში სინტაქსური წყვილების გამორჩევა და წინადადების წევრთა კორელაციის განსაზღვრა.

11. სირიული ენის მორფოსინტაქსი და სინტაქსი
Morphosyntax and syntax of the Syriac language

კურსის მსვლელობისას სტუდენტი ზედმიწევნით შეისწავლის სირიული ენის მორფოსინტაქსისა და სინტაქსის თეორიული ნაწილს. შედეგად იგი შეძლებს გახმოვნებული თუ გაუხმოვნებელი სირიული ტექსტების დედანში კითხვასა და დამუშავებას ლექსიკონის დახმარებით.

12. იუდაიზმის საფუძვლები
The Principles of Judaism

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეიძენს აუცილებელ საბაზისო ცოდნას იუდაური რელიგიის სფეროში. შეისწავლის იუდაიზმის, როგორც რელიგიური აზროვნების ფორმირების საკითხებს დაწყებული ბიბლიური ეპოქიდან ჩვენს თანამედროვეობამდე. შეძენილი ცოდნის საფუძველზე მოხდება ებრაული იდენტიფიკაციის რთული საკითხის გაცნობიერება.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. *მკვდარი ზღვის გრაგნილები (ყუმრანის ბიბლიური ტექსტები)*
   Dead Sea Scrolls (Biblical books of Qumran)

ლექციების კურსი ყუმრანისტიკაში გულისხმობს დარგის განვითარების ეტაპებისა და კვლევის სამოცწლიანი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მიღწევების გაცნობას. ყუმრანის ბიბლიურ ტექსტთა შესწავლა ხელს შეუწყობს თვალი გავადევნოთ ბიბლიური ტექსტების შექმნისა და ფიქსაციის, ასევე მკვლევართა მიერ შუასაუკუნეების უაღრესად მნიშვნელოვან კოდექსთა ტექსტების შესწავლა-კორექტირების პროცესის კვლევას, რომელსაც ეფუძნებალ ჩვენამდე მოღწეული ებრაული ბიბლიის ტექსტი.

2. *შ. აგნონის მხატვრული ენა*
   Sh. Agnon's literary language

კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაითავისებენ შ. აგნონის ნაწარმოებტა სტილისტურ თავისებურებებსა და ენობრივ მახასიათებლებს. ამ საფუძველზე მათ ჩამოუყალიბდება პროფესიული წარმოდგენა მთლიანად ებრაული სალიტერატურო ენის განვითარების მეტად რთულ პროცესებზე.

3. *სინქრონული თარგმანის კურსი 1*
   A course of Simultaneous Translation 1

კურსი მიზნად ისახავს მსმენელს განუვითაროს სინქრონული თარგმანის პროფესიული უნარ-ჩვევები. ყურადღება გამახვილდება მყარ ოფიციალურ ენობრივ ფორმულებსა და გამოთქმებზე, რომელთა გათავისება განსაკუთრებით ესაჭიროება სინქრონულ თარგმანს.

4. *სინქრონული თარგმანის კურსი 2*
   A course of Simultaneous Translation 2

კურსის ფარგლებში მაგისტრანტი შეიძენს სინქრონული თარგმანის საბაზისო უნარ-ჩვევებს ებრაული ენის ზოგადი გრამატიკულ-ლექსიკური მონაცემების ფარგლებში. აღნიშნული კურსი აუცილებელ ბაზისად გამოადგება მსმენელს ენის რომელიმე კერძო უბანში სათანადო სინქრონული თარგმანის პროფესიულ დონეზე შესასრულებლად.

5. *ებრაული ფილოსოფიის ისტორია*
   A History of Hebrew Philosophy

კურსი შეისწავლის ებრაულ კულტურაში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩასახვის, წარმოშობისა და განვითარების საკითხებს.

განიხილება სხვა დიდ ცივილიზაციებთან ურთიერთობის მნიშვნელობა ამ პროცესში და ებრაული კულტურის წვლილი ამ ცივილიზაციათა განვითარებაში.

6. *ძველი (ბიბლიის) არამეული*
   Old (Biblical) Aramaic

ლექციათა კურსი ბიბლიის არამეულში ითვალისწინებს ძველი არამეულის ერთ-ერთი ნაირსახეობის-ბიბლიის ცალკეული ფრაგმენტების (ეზრა 4:8-6:18 და 7:12-26; დანიელი 2:4-7:28, იერემია 10:11; დაბადება 31:47) ენის შესწავლას ისტორიულ-გრამატიკულ ასპექტში. მაგისტრანტები გაეცნობიან ამ ენის სტრუქტურისა და სინტაქსის საფუძვლებს და სათანადოდ იქნებიან მომზადებულნი არამეისტიკის თეორიული საკითხების შემდგომი კვლევისათვის.

7. *არამეული პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა*
   Aramaic Paleography and Epigraphy

კურსი შეისწავლის ძველი არამეული დამწერლობის განვითარების ძირითად ეტაპებსა და ძველი არამეულით შესრულებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. მაგისტრანტები გაეცნობიან არამეული დამწერლობის განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპებს. დეტალურად იქნება განხილული ძველი არამეული დამწერლობის ყველა ნაირსახეობა სათანადო საილუსტრაციო მასალისა და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოყენებით.

8. *ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი*
   The Byzantine Civilisation(Main Characteristics and Peculiarities)
   (კურსის ანოტაცია იხილეთ მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

9. *ინტენსიური კურსი ძველ ბერძნულ ენაში*
   The intensive course in Classical Greek language
   (კურსის ანოტაცია იხილეთ მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

10. *დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები*
    The West and the East: Foundations of Comparative Research
    (კურსის ანოტაცია იხილეთ მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

11. *თანამედროვე მედიევისტიკა (კვლევის მეთოდები, ფორმები და პერსპექტივები)*
    Modern Medieval studies (Research Methods, Forms and Perspectives)
    (კურსის ანოტაცია იხილეთ მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების

კატალოგში)

12. *ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1*
    Theory and Practics of the Textual Criticizm 1
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის
    კურსების კატალოგში)

13. *ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა 2*
    Theory and Practics of the Textual Criticizm 2
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის
    კურსების კატალოგში)

14. *პალეოგრაფია და კოდიკოლოგია*
    Paleography and codicology
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის
    კურსების კატალოგში)

15. *სეპტუაგინტას ტექსტუალური კრიტიკა, ქართული თარგმანი ძველი აღთქმის ტექსტოლოგიის კონტექსტში*
    Textual Criticizm of the Septuagint, Old Georgian Translation in Context of the OT Textual Criticizm
    (კურსის ანოტაცია იხილეთ შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სამაგისტრო
    პროგრამის კურსების კატალოგში)

16. *ანტიკური ლექსწყობა*
    Greek and Roman Metre
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის /მოდული – კლასიკური
    ფილოლოგია/ სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)